

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში გაერთიანებული იყო 11 წევრი, მათ შორის 9 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრების მიერ 2007 წელს გამოქვებულია (ან იძეჭდება) 2 მონოგრაფია და წიგნი და 35 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები

აკად. ფ.თოდუა

„ცერებროგასკულურ პათოლოგიათა არაინგაზიური სხივური დიაგნოსტიკა“ (თბილისი, 295 გვ.).

მონოგრაფია ეძღვნება თავის ტვინის სისხლის მომოქვევის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის თანამედროვე ასპექტებს. მასში დაწვრილებით არის განხილული ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცერებრული სისხლძარღვოვანი დარღვევების სინდრომები და რადიოლოგიური დიაგნოსტიკის კრიტერიუმები. მოცემულია საკუთარი შედეგებისა და უახლესი ლიტერატურული მონაცემების მიმოხილვა. განხილულია სხვადასხვა სისხლძარღვოვანი სინდრომის ჩამოყალიბების პათოგენეზური მექანიზმები, კოლატერალური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებანი. განხილულია თავის ტვინის იშემიური და ჰემორაგიული დისცირკულაციების, მაგისტრალური და ინტრაკრანიული სისხლძარღვების სხვადასხვა პათოლოგიის, სისხლძარღვოვანი ანომალიების ულტრაბგერითი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული სემიოტიკა. წიგნი ილუსტრირებულია 500-ზე მეტი სურათით, სქემითა და ცხრილით. ნაშრომი განკუთვნილია რადიოლოგების, ნევროლოგების, ანგიოლოგებისა და ზოგადი პროფილის

ექიმებისათვის, აგრეთვე უმაღლესი სამედიცინო სახ-
წავლებლების სტუდენტებისა და შესაბამისი დარგების
რეზიდენტებისათვის.

აკად. ნ.ყიფშიძე

„ნიკრისის ქარი – მეფეთა დაავადება“ (თბილისი,
72 გვ.).

აღწერილია ნიკრისის ქარის (ზოდაგრის) ეთიოპა-
თოგენეზის თანამედროვე მექანიზმები და ეფექტიანი
მკურნალობის მეთოდები უახლესი ტექნოლოგიების
ჩათვლით. შეფასებულია დაავადების კლინიკური მიმდი-
ნარეობის სხვადასხვა ფორმის სპეციფიკა.

ბ) სტატიური

აკად. ფ.თოდუა

1) „სისხლის ვერტიკალური წრიული მოძრაობა
აორტის რკალში და ათეროსკლეროზის მაინიცირებული
ფაქტორები“ (Ж. "Тромбоз, гемостаз и реология", №3 (27),
3-13, რუსულ ენაზე).

2) „პემოდინამიკური მაჩვენებლების ულტრაბგერი-
ოთი შეფასება აორტის კოარქტაციის მქონე ავადმყოფებ-
ში ოპერაციის შემდგომ უახლოეს და შორეულ პერიო-
დებში“ (Ж. "Кардиология", №4, т. 47, 62-65, რუსულ ენაზე).

3) „ინტრაკრანიული ჰემანგიომების ვასკულარიზა-
ციის შეფასება მრავალშრიანი კომპიუტერულ-ტომო-
გრაფიული ანგიოგრაფიით“ (J. "Annals of Oncology", v.18,
supp.9, p. 106, Educational and Abstract Book, ESMO Conference,
ინგლისურ ენაზე).

4) „მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულების რო-
ლი კარდიალური სიმსივნეების დიაგნოსტიკაში“ (Radio-
logical Society of North America. Scientific Assembly and An-
nual Meeting Program. RSNA 2007. p.713, ინგლისურ ენაზე).

5) „დიაგნოსტიკური შეცდომების მიზეზები სარძევი
ჯირკვლის კიბოს გამოვლენისას კვლევის რადიოლოგი-

ური მეთოდებით“ (Ж. "Медицинская визуализация", №5, 98-102, რუსულ ენაზე).

გამოქვეყნებული შრომები, ძირითადად, შეეხება თანამედროვე დიაგნოსტიკის შესაძლებლობების შესწავლას და დახვეწას ისეთი როლი და გავრცელებული პათოლოგიების დროს, რომელიცაა ათეროსკლეროზი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა და ძვლების ონკოლოგიური დაავადებები. შრომებში აღწერილი და შემოთავაზებულია ამ პათოლოგიათა დიაგნოსტიკის და დიფერენციალური დიაგნოსტიკის ყველაზე ხანმოკლე და ეფექტიანი გზები და საშუალებები უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით.

აკად. ფ.თოდუა, აკად. კ.ნადარეიშვილი

„აგრესიული ქცევა და რადიომგრანტობელობა“ (თანაავტორობით; Ж. "Радиационная биология и радиоэкология", т. 47, №4, 481-492, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

ნაშრომი წარმოადგენს უადრესად აქტუალური პრობლემის კონცეპტუალურ განზოგადებას. მასში ნაჩვენებია, რომ აგრესიული ცხოველები ბევრად უფრო მგძნობიარენი არიან რადიაციის მიმართ, ვიდრე არა-აგრესიულები და დადგენილია ამ მოვლენის ნეირობიოლოგიური, ნეიროქიმიური და ნეიროვეგეტატიური მექანიზმები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ეს ეფექტი დაკავშირებულია არა მარტო სეროტონინის დეფიციტთან აგრესიული ცხოველების ტვინსა და ელენთაში, არამედ კატექოლამინების მაღალ შემცველობასთან თავის ტვინის იმ უბნებში, რომლებიც მონაწილეობენ აგრესიული ქცევის ორგანიზაციაში. აღნიშნულია, აგრეთვე, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ბიოგენური ამინების რაოდენობრივ შემცველობასა და განაწილებას, რამდენადაც სეროტონინის ფარდობას კატექოლამინებთან თავის ტვინის ურთიერთშესატყვის უბნებში. ეს საკითხები დაკავშირებულია ისეთი დიდი

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ზოგად რა-
დიობიოლოგიურ პრობლემასთან, როგორიც არის ადა-
მიანისა და ცხოველთა ინდივიდუალური რადიომგრძნო-
ბელობა. ამასათანავე, ამ მონაცემებს გარკვეული
მნიშვნელობა აქვს ზოგადი აგრესიოლოგიისათვისაც,
კერძოდ, ადამიანისა და ცხოველების აგრესიის გენეზი-
სისათვის სეროტონინდეფიციტური თეორიის თვალსაზ-
რისით.

აკად. კნადარეიშვილი

1) „პოპულაციის ჯანმრთელობაზე გარემოს სხვა-
დასხვა რისკ-ფაქტორის (რადიაციის ჩათვლით) გავლე-
ნის იდენტიფიკაცია, შეფასება და პრევენცია“, (თანაავ-
ტორობით; NATO Advanced Research Workshop: “Prevention,
Detection and Response to Nuclear and Radiological Threat”,
Springer, 103-114, ინგლისურ ენაზე).

სტატიაში წარმოდგენილია ზოგადი ეკოლოგიური,
მათ შორის რადიოექოლოგიური მონიტორინგის ბიოლო-
გიურ დოზიმეტრიაზე დაფუძნებული, პრინციპულად ახა-
ლი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ადამი-
ანისა და ცხოველის მინიმალურად აუცილებელი (2-3)
ფიზიოლოგიური პარამეტრების კომპლექსური ანალიზის
საფუძველზე შეფასდეს ეკოლოგიური რისკი ინდივიდი-
სა და პოპულაციებისათვის, გაკეთდეს პრემორბიდული
(დაავადებამდელი) პროგნოზი. განხილულია ამ ტექნო-
ლოგიის ზოგადი იდეოლოგია, თეორიული ბიო-სამე-
დიცინო საფუძვლები, რეალიზაციის მათემატიკური აპა-
რატი, ალგორითმული ბაზა და მასობრივი გამოკვლე-
ვების შესაძლო ავტომატიზაციის პრინციპები. აღნიშნუ-
ლი მასალა წარდგენილი იყო NATO-ს ეგიდით ორგანი-
ზებულ სიმპოზიუმზე.

2) „საკომუნიკაციო სისტერის (900/1800 MHz) ელექ-
ტრომაგნიტური ველის გავლენა ვირთაგვების პასიური
განრიდების რეაქციაზე და თავის ტვინის ჰემისფერო-

ების ქერქში ამინმჟავების განაწილებაზე“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №4, 133-137).

სს ემვ-ის მოქმედების შედეგად თავის ტგინის პემოსფეროების ქერქში ვლინდება ამინმჟავების შემცველობის მკვეთრი ცვლილებები, რაც ასახვას პოვებს ცხოველთა ფსიქონერგული ხასიათის მეხსიერებაზე. კერძოდ, დაქვეითებულია მეხსიერება, გაძნელებულია ქცევითი აქტის განხორციელება და შეიმჩნევა დამთრგუნველი გავლენა პასიური განრიდების რეაქციის გამომუშავებაზე.

აკად. თ.იოსელიანი

„ნეოკორტექსის ტონური გავლენა პიპოკამპუსის მზაობაზე კრუნჩხვითი განმუხტვებისადმი“ (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბეჭდად უურნალ "Neuroscience Letters"-ში).

აკად. ვ.ოპუჭავა

1) „ერთჯერადი ვიზუალური აღქმა კატებში: რინალური ქერქის როლი“ (თანაავტორობით; Zh. Vyssh. Nerv. Deiat, 57, 4, 491 – 498, ინგლისურ ენაზე).

2) „სივრცითი აღქმის მეხსიერება კატებში: პარაპიპოკამპური დაზიანების ეფექტები“ (თანაავტორობით; Zh. Vyssh. Nerv. Deiat, ინგლისურ ენაზე, იბეჭდება).

ნაშრომებში აღწერილია კვლევის შედეგები, რომელებშიც დამაჯერებლად არის დადგენილი, რომ მხედველობით ცნობის მეხსიერებას პრიმატებში (ადამიანის ჩათვლით) და მღრღნელებში (ვირთაგვა, თაგვი) განაპირობებს მედიალური საფეთქლის წილის კორტიკალური სტრუქტურა, ე.წ. „რინალური მიდამო“ ("rhinal region"); ნავარაუდევი იყო, რომ, რაკი ამ სტრუქტურამ მეტად უმნიშვნელო ევოლუცია განიცადა კატებში, როგორც მტაცებელთა კლასიკურ წარმომადგენლებში, იგი ფუნქციურადაც მსგავსი უნდა აღმოჩნდეს ამ უბნისა

პრიმატებსა და ვირთაგვებში. ცდებმა მთლიანად დაძასტურა ეს ვარაუდი.

აკად. თონიანი

1) „თავის ტვინის მუსკარინული ქოლინერგული სისტემის პიპო- და ჰიპერფუნქციონირება და პარადოქსული ძილის ცვლილებები ამ პირობებში“ (თანაავტორობით; 21st Anniversary Meeting of the APSS, Sleep, 0047, ინგლისურ ენაზე).

2) „პარადოქსული ძილის რეგულაციაში ტვინის ადრენერგული სისტემის როლის დამატებითი დადასტურება“ (თანაავტორობით; 2nd World Congress of World Association of Sleep Medicine. Sleep, L0017, ინგლისურ ენაზე).

3) „განსხვავება პარადოქსული ძილის ემოციური და არაემოციური ფაზების დეპრივაციის ეფექტებს შორის“ (თანაავტორობით; Sensation 2nd International conference in Chania, Crete, Greece, ინგლისურ ენაზე).

4) „ძილის ხარისხი დევნილი და არადევნილი ოჯახების ბავშვებში. შედარებითი გამოკვლევა“ (თანაავტორობით; Sleep, vol 30, Abstact Suppl., A76, ინგლისურ ენაზე).

5) „კატის თავის ტვინის ქერქის პარიეტალური ასოციაციური ზონების ნეირონული აქტივობის დინამიკა ძილ-დვიძილის ციკლში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 175, N1, 97-102, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომები ეხება ძილ-დვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა ამ ციკლის სხვადასხვა ფაზის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფორმირების საფუძვლები, ფაზათა შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის საკითხები და ნევროლოგიური პათოლოგიების (დეპრესია, ნარკოლეფსია, შიზოფრენია და სხვ.) დროს ძილ-დვიძილის ციკლის კანონზომიერი ცვლილებები, რასაც მნიშვნელოვანია მათ დამატებითი გავლის გარემონტირება.

ლობა აქვს ხსენებულ პათოლოგიათა ნეირობიოლოგიური საფუძვლების გარკვევისა და დარღვევათა კორექციის გზების შემუშავებისათვის.

აკად. ნ.ყიფშიძე

1) „ანთების ბიომარკერებისა და სეროლოგიური პლევის შედეგები გულის იშემიური და არაიშემიური დაავადების დროს“ (თანაავტორობით; II საერთაშორისო სიმპოზიუმის „გარდიოვასკულური დაავადებების ბიომარკერები“ მასალები, ბერლინი, გერმანია, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია მასალა ვირუსული მიოკარდიტის დილატაციურ კარდიომიოპათიაში ტრანსფორმაციის შესახებ პლაზმის ვირემიდან მიოციტების ნეკროზამდე, მაკროფაგების აქტივაციითა და ციტოკინების იზოლაციით. კვლევაში ჩართული იყო 139 პაციენტი, რომლებზეც შესწავლილია შემდეგი ვირუსები: ვირუსი კოქსაკი, ინფლუენსა, ადენვირუსი, ექოვირუსი, ციტომეგალოვირუსი, ჰერპესის ვირუსი, შტეინ-ბარ ვირუსი. პოზიტიური სეროლოგიური პასუხი მიღებულია 71%-ში. დადგენილია ქოქსაკის, ადენვირუსის და ინფლუენსა ვირუსების გამოხატული კარდიოტროპული თვისება, ასევე ინტერლეკინებისა და TNF-α აქტივობის საწყისი დონის მნიშვნელობა ჰიპოქსიაზე კარდიომიოციტებსა თუ პერიფერიულ ქსოვილებში.

2) „ატორვასტატინისა და ეზიტიმიბის კომბინირებული მკურნალობის შეფასება გულის იშემიური დაავადებითა და II ტიპის შაქრიანი დიაბეტით ავადმყოფებში“ (თანაავტორობით; XVI საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიპიდური მეტაბოლიზმი“ მასალები, ნუი-ოორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია ატორვასტატინითა და ეზიტიმიბით მკურნალობის შედეგები გულის იშემიური დაავადების დროს II ტიპის შაქრიანი დიაბეტის ფონზე (42 პაციენტი). დადგენილია ჩატარებული კომბინირებული

მკურნალობის მაღალი ეფექტიანობა ლიპიდების სამიზნე დონის მიღწევით ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. დაავადების განვითარების საწყის პერიოდში პრეპარატების რეკომენდებული დოზებია: 20 მგ. ატორვასტატინი +10 მგ ეზიტიმიბი.

3) „გულის რემოდელირება ვირუსული და არავირუსული დაავადების კლინიკური მიმდინარეობის დროს“ (თანაავტორობით; XVI საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიპიდური მეტაბოლიზმი“ მასალები, ნუი-იორკი, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია კარდიო- და ჰეპატოტოპული ვირუსებისა და არავირუსული ინფექციების შერეული ზემოქმედების შედეგები კარდიორემოდელირების პროცესისა და გულის უკმარისობის ჩამოყალიბებაზე. კლინიკური მასალა მოიცავდა 225 პაციენტს ვირუსული მიოკარდიდით, დილატაციური და ჰიპერტოფიული კარდიომიოპათიით, მათი სპორადული ფორმებითა და ინფექციური ენდოკარდიტით. გარდა ამისა, შესწავლილია შემდეგი ინფექციები: Chlamydia, Mycoplasma და Legionella; გამოვლენილია Troponine-I მნიშვნელობა გულის კუმშვადი ფუნქციის დაჭვებითებასა და გულის უკმარისობის განვითარებაში.

4) „გერონტოლოგიური პაციენტების მკურნალობის ახალი მიღვომები სტენოკარდიის სინდრომით მიმდინარე გულის იშემიური დაავადების დროს“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 150-152, ინგლისურ ენაზე).

ინტერესი ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების დონის მიმართ მკვეთრად გაიზარდა ბოლო წლებში. ამავე დროს, ათეროსკლეროზის შესახებ არსებულ ძირითად წარმოდგენებს შორის მზარდ მნიშვნელობას ანიჭებენ ცილოვან კომპონენტს. ნაშრომის მიზანი იყო E-ვიტამინისა და

პრეპარატ თრიოვიტის ეფექტიანობის შესწავლა გერონტოლოგიურ პაციენტებში სტენოკარდიის დროს. პირველადაა დამტკიცებული, რომ E-ვიტამინის გამოყენების შედეგად ხდება არა მხოლოდ ქოლესტერინის, არამედ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებისა და ტრიგლიცერიდების დონის დაჭვებითება და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების მომატება, რაც შენარჩუნდა მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ. აღნიშნული თერაპია ხელს უწყობს ავადმყოფთა კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება იშემიის ეპიზოდების რაოდენობისა და ხანგრძლივობის დაქვეითებით, მიღებული ნიტროგლიცერინის აბების რაოდენობის შემცირებით, ფიზიკური დატვირთვის მიმართ ტოლერანტობის დონის გაზრდითა და ტრადიციული ანტიანგინალური პრეპარატების დოზების შემცირებით.

5) „დეპრესიისა და რელიგიურობის კავშირი ლიათ-პროტეიდების ათეროგენულ პროფილთან არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №3, 117-118, ინგლისურ ენაზე).

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა სტრესის, დეპრესიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ურთიერთკავშირის დადასტურება მტკიცებაზე დაფუძნებული მედიცინის პოზიციიდან. აღმოჩნდა, რომ იმ პირებში, ვისაც დეპრესია აღენიშნებოდა, არტერიული ჰიპერტენზია და გულ-სისხლძარღვთა სხვა პათოლოგია გამოვლინდებოდა მაღალი პროცენტით. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ანალიტიკური პროგნოზის მიხედვით 2020 წელს მოედნ მსოფლიოში სრულფასოვანი სიცოცხლის შემცირების თვალსაზრისით გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და დეპრესია ლიდერები იქნებიან. ბოლო პერიოდში აღინიშნება მეცნიერების დაინტერესება დეპრესიასთან,

სტრესთან და არტერიულ ჰიპერტენზიასთან რელიგიის კავშირის შესწავლით. ჩატარებულია კვლევა, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ფაქტორებს შორის პირდაპირ კორელაციურ კავშირებს. ამ ფაქტორებს შორის კავშირის სრულყოფილი შესწავლა მედიცინის მეტად აქტუალური ამოცანაა.

აკად. მხანანა შვილი

1) „გარდამავალი მდგომარეობა ნორმიდან პათოლოგიისაკენ“ ("Журнал патофизиологии", №2, 3-10, რუსულ ენაზე).

საზოგადოების ფართო წრე და ხშირად სპეციალისტებიც კი სტრესს იხილავენ, როგორც ბიოლოგიურად უარყოფით მოვლენას ან დაავადებას. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების მასალა ადასტურებს, რომ სტრესირების საწყის ეტაპზე ქცევითი და ვეგეტატიური ცვლილებები ბიოლოგიურად დადებით ხასიათს ატარებს. გაკეთებულია დასკვნა, რომ აუცილებელია ზომების მიღება მათ გასაძლიერებლად და არა „მკურნალობა“ დათრგუნვის მიზნით. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს ორგანიზმის ფსიქოფიზიოლოგიური რეზისტენტობის ამაღლებაში. როგორც აღმოჩნდა, კვლევის ეს გზა პრინციპულად ახალ შესაძლებლობებს იძლევა ნორმალური და დარღვეული ქცევის რეგულირებისათვის.

2) „ვირთაგვების ქცევის თვითრეგულაცია ემოციური სტრესის განვითარების პროცესში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონგრესი „Neuroscience for medicine and physiology“, 98-100, სუდაკი, უკრაინა, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია ემოციონალური სტრესის ორიგინალური მოდელი, შემუშავებული ორი თავდაცვის რეაქციის ინტეგრაციის გზით. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ფსიქოემოციური სტრესის განვითარების სხვადა-

სხვა ეტაპზე ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები კანონმიერია და თვითრეგულაციური ხასიათი აქვს.

აკად. ს.ხეჩინაშვილი

1) „სმენის ფუნქციის შესწავლა პიპოთირეოზის დროს“ (თანაავტორობით; "Georgian Medical News", №4, 14-18, ინგლისურ ენაზე).

2) „ასაკობრივი სმენაზღუნვების დამოკიდებულება ადამიანის სქესზე“ (თანაავტორობით; აუდიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის შრომათა კრებული. მოსკოვი, 128-129, რუსულ ენაზე).

სმენის გამოკვლევა წარმოებდა მაღალი სიხშირე-ების ტონალური აუდიომეტრიის საშუალებით 14 ათასი ჰერცის სიხშირემდე.

3) „ნოოტოპილის გამოყენება მოულოდნელი სიურუის დროს“ (თანაავტორობით; აუდიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის შრომათა კრებული, მოსკოვი, 140-142, რუსულ ენაზე).

4) „ახალი მცენარეული პრეპარატის – სინუფორტეს გამოყენება ცხვირის ღრუს და დანამატი წიაღების ქრონიკული ანთების სამკურნალოდ“ (თანაავტორობით; ესპანური უურნალი „თერაპიული გამოყენება და რისკი“, №4, 9-11).

აკად. ნ.ჯავახიშვილი

1) „არტერიის პროეზისა და აუტოვენის ტრანსპლანტაციის რევასკულარიზაცია“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 175, №3, 107-113).

ნაშრომი ეხება სისხლძარღვების ჩაზრდის საკითხს ხელოვნური ქსოვილების შემცვლელ არტერიაში, ჩანერგილი ვენის სისხლძარღვების გარდაქმნას არტერიის სისხლძარღვების მსგავსად.

2) „არტერიული ალოტრანსპლანტაციების ვასკულარიზაცია, როგორც გვიანი თრომბოზების მიზეზი“ (ურ-

ნალი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“, №6 (39), 79-81).

ნაშრომში გადმოცემულია მოსაზრება გვიანი თრომბოზის განვითარების ერთ-ერთი შესაძლებელი მიზეზის შესახებ.

აკად.წევრ-კორ. თ.დეკანოსიძის ნაშრომებში მოწოდებული და დასაბუთებულია ზოგადი და კერძო პათოლოგიური ანატომიის სწავლება კურაციული წესით. მიმდინარეობდა კვლევა უცხო სიტყვა-ტერმინთა ქართულად წარმოების წესზე, ქართული აფიქსების (პრეფიქსი და სუფიქსი) გამოყენებით. სახელმძღვანელოებში და ლექციების კითხვის დროს უკავე შეკრებილია 400 სიტყვა და შექმნილია მათი ბრუნვის ვარიანტები. ხუთი სიტყვის ყველა ბრუნვაში გამოყენება გამოქვეყნებულია გაზეთში „ექიმის დასახმარებლად“. მომდევნო სამუშაოდ დაგეგმილია გენეტიკიდან მიღებული სიტყვების უარყოფა ან გადაყვანა მათი ნომინატივების დაბოლოებებში. გამოსაცემად მომზადდა პროფესორ დ.მიქელაძისა და თ.დეკანოსიძის დიალოგი მოლეკულურ-იონური ბიოლოგიის პოზიციიდან პათოლოგიური პროცესების მორფოგენეზის სწორად წარმოდგენისათვის.

აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე

1) „პომოტოპური უჯრედების ბირთვებში გენების ექსპრესიის დამთრგუნველი თირკმლის ცილოვანი კომპლექსების გამოკვლევა“ (თანაავტორობით; "Georgian Medical News", N2, 143, 50-53, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია პიდროპუროზისა და თირკმლის კიბოს დროს თირკმლის ცილოვანი კომპლექსები. პოსტ-ოპერაციულ მასალაზე პიდროპუროზის შემთხვევაში დადგენილია, რომ ცილოვანი კომპლექსები თრგუნავს რნბ-ს სინთეზს, თუმცა თირკმლის კიბოს მქონე პაციენტებში ტრანსკრიფციის პროცესი არ გამოვლინდა.

2) „წინამდებარე ჯირკვლის დიდი ზომის კეთილთვისებიანი პიპერპლაზიების ტრანსურეორული მკურნა-

ლობა“ (თანაავტორობით; "Georgian Medical News", N2, 143, 53-57, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ პროსტატის ტრანსურეორული რეზექცია წარმოადგენს საუკეთესო ქირურგიულ მეთოდს დიდი ზომის წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის დროს და მკურნალობის შედეგები პროსტატის ტრანსურეორული რეზექციის სტანდარტული შემთხვევების იდენტურია.

3) „p27 (kipl)-ის უჯრედული ციკლის ინპიბიტორების ექსპრესიის პროგნოსტული მნიშვნელობა თირკმელუჯრედოვანი კიბოს დროს“ (თანაავტორობით; "Georgian Medical News", N2, 143, 12-17, ინგლისურ ენაზე).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ცილის p27 (kipl) ექსპრესია ინაქტიური თირკმლის ქსოვილში გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობს სიმსივნურთან შედარებით და უარყოფით კორელაციურ კავშირშია თირკმელუჯრედოვანი კიბოს სტადიასა და დიფერენციაციის ხარისხთან.

4) „თირკმლის გადანერგვის შედეგები საქართველოში ცოცხალი დონორების გამოყენებით“ (თანაავტორობით; "Georgian Medical News", N2, 143, 17-21, ინგლისურ ენაზე).

2000-2007 წლებში 37 ავადმყოფზე ჩატარებულია თირკმლის ტრანსპლანტაცია. დაკვირვების საშუალო ხანგრძლივობა 29,5 თვეა. ყველა დონორი და რეციპიენტი გენეტიკური ნათესავები იყვნენ. ტრანსპლანტაციათა რაოდენობის გაზრდისათვის მიზანშეწონილია გენეტიკურად არამონათესავე დონორების გამოყენება.

5) „უჯრედული ცილის P27 (kipl)-ის გაქრობა თირკმლის კიბოს მქონე პაციენტებში არის უკმარისობის რეციდივისა და კიბოსპეციფიკური გადარჩენის წინამორბედი ფაქტორი“ (თანაავტორობით; Int. Urol. Nephrol., 2, 381-387, ინგლისურ ენაზე).

უჯრედული ცილის P27 (kipl)-ის ექსპრესია შესწავლითია 52 თირკმლის სიმსივნისა და 24 თირკმლის პარენქიმის ქსოვილში. P27 (kipl)-ის ექსპრესია სტატისტიკურად ნაკლები იყო თირკმლის სიმსივნურ ქსოვილში ნორმალურ პარენქიმასთან შედარებით და მისი ექსპრესია სტატისტიკურად სარწმუნოდ კორელირებდა სიმსივნის სტადიასთან, ზომასთან და დიფერენცირების ხარისხთან. დადგენილია, რომ P27 (kipl)-ის ექსპრესიის გაქრობა სიმსივნედამოკიდებულ გადარჩენაზე მოქმედ უარყოფით პროგნოზულ ფაქტორს წარმოადგენს.

6) „არის თუ არა რეტროპერიტონეუმის ულტრაბგარითი კვლევა შესაფერისი მეთოდი ტესტიკულური კიბოთი დაავადებულ პაციენტებს შორის ლიმფადენექტომიის კანდიდატთა შესარჩევად?“ (თანაავტორობით; Urol Int., 78.3. 226-229, ინგლისურ ენაზე).

სათესლე ჯირკვლის გერმინოგენული სიმსივნის დროს პაციენტების რეტროპერიტონეუმის შეფასება ხდებოდა ულტრაბგერითი კვლევითა და კომპიუტერული ტომოგრაფიით. ულტრაბგერითი კვლევით მიღებულმა მონაცემებმა რეტროპერიტონეალურ სივრცეში ხილული ლიმფური კვანძის არსებობის შესახებ გამორიცხა Ⅱc სტადიის დაავადების დიაგნოზი, რამაც შესაძლებელი გახდა რეტროპერიტონეალური ლიმფადენექტომიის კანდიდატთა შერჩევის გამარტივება მარკერ-ნეგატიურ არასემინომათა შემთხვევაში.

7) „სისხლის არტერიული წნევის კავშირი ინტრა-პერიტონეალურად შეყვანილი ინსულინის აბსორბციასთან პერიტონეალურ დიალიზზე მყოფ დიაბეტიან პაციენტებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №3, 124-126, ინგლისურ ენაზე).

პერიტონეალურ დიალიზზე მყოფი დიაბეტიანი პაციენტებისთვის ინსულინის ინტრაპერიტონეალური

დანიშვნა გლიკემიის ოპტიმალური კონტროლისა და პერიფერიული ჰიპერინული განვითარების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. დადგენილია, რომ ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ინტრაპერიტონეალურად შეყვანილი ინსულინის აბსორბციის პროცესზე, წარმოადგენს სისხლის არტერიული წნევა, რომელიც, თავის მხრივ, პერიტონეუმის ტრანსპორტის ტიპს განაპირობებს.

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ 5 სამეცნიერო თემის (აკად. ფ.თოდუა, აკად. კ.ნადარეიშვილი, აკად. გ.ოგუჯავა, აკად. თ.ონიანი, აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე) და 1 საზღვარგარეთული გრანტის CRDF-ის (აკად. თ.იო-სელიანი) შესრულებაში.

აკად. ნ.ყიფშიძე მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტში „გზა კავკასიური დღეგრძელობისაკენ“ (კო-ორდინატორი ქვეყანა აშშ).

განყოფილების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში: აკად. ფ.თოდუა – რადიოლოგთა კონგრესებში ქ. ვენასა (ავსტრია) და ქ. ჩიკაგოში (აშშ), აკად. ნ.ყიფშიძე – II საერთაშორისო სიმპოზიუმში „კარდიოვასკულარი დაავადებების ბიომარკერები“ (ქ.ბერლინი, გერმანია) და XVI საერთაშორისო სიმპოზიუმში „ლიპიდური მეტაბოლიზმი“ (ქ.ნიუ-იორკი, აშშ), აკად. თ.იოსელიანი – საერთაშორისო კონფერენციებში ქ.ერევანსა (სომხეთი) და ქ.ტრიესტში (იტალია), აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე – ევროპის უროლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ 22-ე კონგრესში (ქ.ბერლინი, გერმანია), უროლოგთა საერთაშორისო საზოგადოების 29-ე კონგრესში (ქ.პარიზი, საფრანგეთი), პირველ ევროპულ მულტიდისციპლინურ შეხვედრაში უროლოგიურ სიმსივნეებზე (ქ.ბარსელონა, ესპანეთი).

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებამ პრეზიდიუმს წარუდგინა კანდიდატები

ორი სახელობითი პრემიის მისანიჭებლად: ი.ბერიტა-შვილის სახელობის პრემია მეცნ.დოქტ. გ.ბექაიას შრომათა ციკლისათვის „ნათხემისა და შუამდებარე ტვინის ურთიერთობა და მათი როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში“ და ი.თარხნიშვილის სახელობის პრემია მეცნ.დოქტ მ.ბერაიას შრომათა ციკლისათვის „ჰემოლინამიკის თავისებურებანი მსხვილ სისხლძარღვებში და ათეროსკლეროზის ინიციალური ფაქტორები“.